№ 23 მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მეორე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 2 მან. შაბათი, 31 იანვარი 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ." 1920 წლისთვის. გაზეთის ღირს 1 თვით 40 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 3 მ. 50 კ. მე-4 გვერდზე 3 მ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 80 მ. 1 იანვრ. გაზ. ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქუჩა № 6. ტელეფონის 1—82.

## სახელმწიფო თეატრი

ოპერა ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით.

შაბათს, იანვრის 31, ოპერა მუშებისათვის **მეფის საცოლო**

მონაწილეობენ: ვოლ ლევიცკაია, გლაზი, მოლჩანოვი, ინაშვილი, საბინინი, კურბატოვი, ეზროვი. კვირას, თებერვლის 1, ევლახიშვილის ბენეფისი დავიდოვას მონაწილეობით „კარმენი". ორშაბათს, თებერვლის 2, „ევგენი ონეგინი". სამშაბათს, თებერვლის 3, როგაჩევსკის ბენეფისი „ქეთო და კოტე". 141

## ელექტრო-სადგურის კანტორა „ვატ"

ელექტრონის ძალის შეწყვეტის გამო კიდევ სთხოვს ყოფილ აბონენტებს, ექვსი კვირის ვადაში დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა, მიიღონ უკან ავანსები. ავანსების მიღება შეიძლება კანტორა „ვესტინგჰაუზ", „სიმენს", ხორევის ქვეშ, მუზეუმის შესახვევში. ექვსი კვირის შემდეგ წაუღებელი ავანსები შეტანილი იქნება ტფილისის ქალაქის გამგეობაში და კანტ. „ვატ" ყოფილ აბონენტებთან ყველა ანგარიშებს სპობს. 3—3

## ისპანიის საკონსულო ტფილისში

აცხადებს ყველა ოსმალთა ქვეშევრდომის საყურადღებოთ, რომლებიც იმყოფებიან საკონსულოს მფარველობის ქვეშ, რომ მფარველობის მოწმობები, მიღებული 1919 წ., კარგავენ ძალას და უნდა განახლდენ 1920 წელში. 153

**ოფიციალური ნაწილი.**

# განკარგულებანი

## შინაგან საქმეთა მინისტრისა.

დეკემბერი, 1919 წ. № 126.

**დათხოვნილია** სამსახურიდან ფოთის პუნქტის ექიმი-ვეტერინარი ლეჟავა თანახმად თხოვნისა პირველ დეკემბრიდან ა. წ.

8 დეკემბერი, 1919 წ., № 125.

**გამორიცხულია:** სამსახურიდან რესპუბლიკის საპყრობილეთა ინსპექტორის თანამდებობის ალმასრულებელი ა. ს. ყიფიანი თანახმად თხოვნისა, რვა ამა ქრისტეშობისთვიდან.

**ინიშნება:** რესპუბლიკის საპყრობილეთა ინსპექტორის თანაშემწე ი. დ. იაშვილი საპყრობილეთა ინსპექტორის თანამდებობის დროებით ალმასრულებლად 8 ამა ქრისტეშობისთვიდან.

10 დეკემბერი, 1919 წ., № 128.

**ინიშნებიან:** გრიგოლ ივანეს ძე კანდელაკი და დაშვებულია მეცადინეობაზე ნებითი დაქირავებით შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიაში დავით ალექსის ძე ბოჭორიშვილი მოანგარიშე მოხელეთ იმავე კანცელარიაში.

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი **ჭიჭინაძე.**

—

## ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა.

19 ნოემბერი, 1919 წ., № 282.

**გადარიცხულ იქნენ** სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელ ექსპედიციის კანცელარიის მოხელეებათ, იმავე ექსპედიციის საწყობის გამგე სევერიან ჩანჩალეიშვილი და კონტროლიორები იასონ ვაწაძე და დავით ახსაბაძე ყველანი ა. წ. 8 ნოემბრიდან.

2 დეკემბერი, 1919 წ., № 283.

**დაინიშნონ** სახელმწიფო ქაღალდების დამზადებელ ექსპედიციის კონტროლიორებად იონა მიხეილის ძე ბაქრაძე და მიხეილ როსტომის ძე მგელაძე ა. წ. 1 დეკემბრიდან.

4 დეკემბერი, 1919 წ. № 284.

**დაინიშნონ** სახელმწიფო ქაღალდების დამზადებელ ექსპედიციის კონტროლიორებათ გრიგოლ შიოს ძე სოლომონიძე, შალვა ივანეს ძე ბერძნიშვილი და ვლადიმერ ნიკოლოზის ძე მაჭიტაძე ყველანი ა. წ. 1 დეკემბრიდან.

№ 285.

**დათხოვნილ იქმნან** სრულიად სამსახურიდან თანახმად თხოვნისა სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელ ექსპედიციის საწყობის გამგე სევერიან კონსტანტინეს ძე ჩანჩალეიშვილი, იმავე ექსპედიციის კონტროლიორები იასონ კონსტანტინეს ძე ვაწაძე და დავით რევაზის ძე ახსაბაძე, ყველანი ამა წლის 1 დეკემბრიდან.

4 დეკემბერი, 1919 წ. № 286.

**დათხოვნილ იქმნას** სრულიად სამსახურიდან თანახმად თხოვნისა სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელ ექსპედიციის საწყობის გამგე ალექსი სოლომონის ძე კვალიაშვილი ამა წლის 1 დეკემბრიდან.

4 დეკემბერი, 1919 წ., № 287.

**დაინიშნონ:** სიღნაღის მაზრის აქციზის ინსპექტორის უმცროს თანაშემწედ ნავთის ნაწარმოების მოანგარიშე ვასილი მაქსიმეს ძე კახიძე, ხოლო ნავთლუღის ნავთის მოანგარიშეთ—ნიკოლოზ გრიგორის ძე ციმაკურიძე, ორივენი ა. წ. 1 დეკემბრიდან.

4 დეკემბერი, 1919 წ. № 288.

**განთავისუფლებულია** თანამდებობიდან თანახმად მთავრობის დადგენილებისა და პირადი თხოვნისა ფინანსთა მინისტრის საბჭოს წევრი ილია მანუჩარის ძე ჩიქოვანი ა. წ. 1 სექტემბრიდან.

ფინანსთა მინისტრის ამხ. **ხ. ავალიანი.**

—

## საქართველოს სენატისა.

**ინიშნებიან:** ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგი ხარლამპი ვასილის ძე სირბილაძე და მომრიგებელი მოსამართლე ქ. ტფილისის მე-16 უბნისა ალექსი აბრამის ძე მჩაბლიშვილი ტფილისის სასამართლო პალატის წევრებად 9 დეკემბრიდან 1919 წლისა; ქუთაისის ოლქის სასამართლოს წევრი დავით ლუარსაბის ძე ყიფიანი იმავე სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგად 9 დეკემბრიდან 1919 წლისა, ტფილისის საგანგებო სასამართლოს წევრი დავით ტატიშვილი ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრად 19 ნოემბრიდან 1919 წლისა. განთავისუფლებულია თანამდებობიდან ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრი ნ. კ. რაზმაძე 15 ნოემბრიდან 1919 წლისა, სამომრიგებლო ყრილობის თავმჯდომარედ არჩევის გამო. გამორიცხულია ტფილისის სასამართლო პალატის წევრთა სიიდან კონსტანტინე მიხეილის ძე შნეიდერი, გარდაცვალებული 28 ნოემბ. 1919 წ.

საქართველოს სენატის თავმჯდომარე **დ. ხელთუფლიშვილი.**

—

## იუსტიციის დეპარტამენტისა.

11 დეკემბერი 1919 წ. № 293.

ა. წ. დეკემბრის 1-ის № 282 ბრძანების შეცვლად **დაინიშნა:** ტფილისის ოლქის სასამართლოს მდივანი იოსებ დავითის ძე მაისურაძე სამინისტროს ხაზინადრად ა. წ. დეკემბრის 1-დან.

11 დეკემბერი, 1919 წ., № 294.

**დაინიშნა:** კანცელარიის ბუჰჰალტერის თანაშემწედ ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის კანცელარიის მოხელე მარიამ ალექსანდრეს ასული ჟურული-ელიავა. ა. წ. დეკემბრის 11 დან.

11 დეკემბერი, 1919 წ., № 299.

**დაინიშნა:** სამინისტროს კანცელარიის მოხელეთ შალვა ივანეს ძე თაქთაქიშვილი ა. წ. ნოემბრის 25 დან.

დეკემბრის 9, 1919 წ., № 301.

**დაინიშნა:** ეკატერინა ალექსანდრეს ასული კანდელაკი კანცელარიის მანქანაზე გადამწერად ა. წ. დეკემბრის 1 დან.

დეკემბრის 10, 1920 წლ., № 8.

**განთავისუფლებულია** თანამდებობიდან თანახმად თავისი თხოვნით ტფილისის მე 2 უბნის სამხედრო გამომძიებელი ანდრონიკე კეკელიძე ა. წ. დეკემბრის 10-დან.

11 დეკემბერი, 1919 წ., № 302.

**დაინიშნა:** ფინანსთა დეპარტამენტის სახაზინო ნაწილის უფროსი ალექსანდრე სვიმონის ძე ვაშაკიძე სამინისტროს კანცელარიის უფროსს ბუჰგალტერად ა. წ. დეკემბრის 1-დან.

11 დეკემბერი, 1919 წ. № 305.

**განთავისუფლებულია** თანამდებობიდან: თანახმად თავისი თხოვნისა სამხედრო სასამართლოს თანამდებობათა კანდიდატი ალექსანდრე პორფირის ძე ინასარიძე ა. წ. დეკემბრის 1-დან.

11 დეკემბერი, 1919 წ., № 306.

**დაინიშნა:** სამხედრო სასამართლოს თანამდებობათა კანდიდატის თანამდებობის ალმასრულებლად დიმიტრი ესტატეს ძე თარხან-მოურავი ა. წ. დეკემბრის 1-დან.

დეპარტამენტის მმართველი **ხ. გ. ჟორდანია.**

—

## ცირკულიარულად.

**სასამართლო უწყების ყველა დაწესებულებისადმი და თანამდებობის პირთადმი.**

წინადადებას ვაძლევ რესპუბლიკის ყველა სასამართლო დაწესებულების და თანამდებობის პირთ სასტიკად და უკლებლივ გაატარონ ცხოვრებაში მთავრობის მიერ დაწესებული ყველასათვის სავალდებულო ნორმა 6 საათის სამუშაო დღისა. სასამართლო დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა კანცელარიებში საქმიანობა უნდა იწყებოდეს დილის 9 საათზე და გრძელდებოდეს ნაშუადღევის 3 საათამდე.-საქმეების გარჩევა ყველა სასამართლოებში—როგორც სამომრიგებლო უბნებში, ისე საერთო სასამართლოებში უნდა იწყებოდეს სწორედ დილის 10 საათზე.

ამა განკარგულების ყოველმხრივ ცხოვრებაში გატარების ზრუნვა ევალებათ სათანადო დაწესებულებათა უფროსებს და თანამდებობის პირთ, მათის პირადის პასუხისმგებლობით. დედანზე ხელს აწერენ იუსტიციის მინისტრი **გეგეჭკორი.**

კანცელარიის დირექტორის თანამდებობის ალმასრულებელი **დ. წითლანაძე**

# შ ტ ა ტ ი.

## უდიდეს საქმეთა გამომძიებლისა და მის კანცელარიისა.

| §§ | მუხლი. | თანამდებობათა სახელწოდება და საგანი ხარჯისა. | [illegible] | 40 % დამატება. | რიცხვი. | უნდა მიიცეთ: თვეში. ერთს. | თვეში. ყველას. | წელიწადში. ერთს. | წელიწადში. ყველას. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10 | | **უდიდეს საქმეთა გამომძიებლისა და მისის კანცელარიის შენახვა.** | | | | | | | |
| | 2 | გამომძიებელი . . . . . . . . . . . . . . . . . | 1885 | — | 1 | 5000 | 5000 | 60000 | 60000 |
| | | საქმის მწარმოებელი, იგივე თარჯიმანი . . . . . . . | 1100 | — | 1 | 2200 | 2200 | 26400 | 26400 |
| | | გზირი . . . . . . . . . . . . . . . . . | 875 | 350 | 1 | 1225 | 1225 | 14700 | 14700 |
| | | ჯამი 1 მუხლისა . . . . . . | — | — | — | 8425 | 8425 | 101100 | 101100 |
| | 2 | საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯი . . . . . . . | — | — | — | 500 | 500 | 6000 | 6000 |
| | | ჯამი 2 მუხლისა . . . . . . | — | — | — | 500 | 500 | 6000 | 6000 |
| | 3 | საგზაო და დღიური ხარჯი . . . . . . . . . . . . | — | — | — | 3000 | 3000 | 36000 | 36000 |
| | | ჯამი მე 3-ე მუხლისა . . . . | — | — | — | 3000 | 3000 | 36000 | 36000 |
| | | მე-10-ე § ის ჯამი . . . . . | — | — | — | 11925 | 11925 | 143100 | 143100 |

1919 წ. დეკემბრის 9-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ს. მდივანი.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე

**ნ. ჟორდანია.**

## არა ოფიციალური განყოფილება

# შრომის სამინისტროში

### განმარტება.

სატარიფო პალატა მრავალ შეკითხვების გამო აცხადებს, რომ ისეთ მუშებს, რომლებიც სამუშაოდან დათხოვნილი არიან 60 პროცენტ. მომატების დადგენილების გამოტანამდე—არ შეუძლიათ მიიღონ სალიკვიდაციო 60 პროც. მომატებით. მათ მიეცემათ სალიკვიდაციო თანახმად მომატებამდე არსებულ ჯამაგირისა.

— შრომის სამინისტრო, შრომის კომისარის შეკითხვის საპასუხოთ აცხადებს, რომ 60 პროც. მომატება ვრცელდება აგრეთვე დღიურათ დაქირავებულ მუშებზედაც, არ შეიძლება გავრცელდეს მომატება მხოლოდ ისეთ დღიურ მუშებზე, რომელთა დაქირავების პირობები, მომატების დღიდან დარღვეული იყო.

### საჩივარი ვარციხის სახელმწიფო მამულის გამგის წინააღმდეგ.

ვარციხის სახელმწიფო მამულის მუშებმა საჩივარი შემოიტანეს შრომის სამინისტროში ვარციხის სახელმწიფო მამულის გამგის წინააღმდეგ, რომელიც მუშებს დანიშნულ ნორმის თანახმათ ღვინოს არ აძლევს.

შრომის სამინისტრომ მიიღო მხედველობაში, რომ ვარციხის სახელმწიფო მამულის მუშების მოთხოვნილება კანონიერი იყო, შევიდა მთავრობაში შესაფერ მოხსენებით. მთავრობამ განიხილა შრომის მინისტრის მოთხოვნილება და დაადგინა: გადაეცეს ეს საქმე იუსტიციის სამინისტროს, რომელმაც უნდა დააკმაყოფილოს მუშები თუ მათ მოთხოვნილების ფორმალური საბუთი აღმოაჩნდებათ.

### სასამართლო რკინის გზაზე.

შრომის სამინისტრომ დაამტკიცა პროექტის დებულება რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა დისციპლინარულ სასამართლოს დაარსების შესახებ. სასამართლოს მოვალეობა იქნება განიხილოს დანაშაულობანი მოსამსახურეთა მოვალეობის შესაფერისად შეუსრულებლობით გამოწვეული. სასამართლოში შევლენ წარმომადგენლები როგორც რკინის გზის კავშირის, ისე ადმინისტრაციის, სასამართლოს არ ექვემდებარებიან რკინის გზის საადმინისტრაციო ნაწილის მოხელენი. სასამართლოს თავმჯდომარეობს შრომის სამინისტროს წარმომადგენელი და უფლება აქვს მოხელე ან სრულიად დაითხოვოს სამსახურიდან დანაშაულობისათვის ან უმაღლესიდან უმდაბლეს მოვალეობამდე დაიყვანოს. სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიძლება გასაჩივრებულ იქნას სხვა ადგილას.

### ტრამვაის დარაჯების ღამღამობით მუშაობის შესახებ.

ტფილისის ქალაქის ტრამვაის დირექტორს და მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირს ტფილისის გუბერნიის შრომის კომისარმა შემდეგი მიწერილობა დაუგზავნა.

„ტფილისის ქალაქის ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის მოწერილობის საპასუხოთ ტრამვაის დარაჯებისთვის 6, 7 და 8 საათის სამუშაო დღის დაწესების შესახებ გაუწყებთ, რომ საქართველოს რესპუბლიკის არსებულ კანონით ღამის მუშაობის ხანგრძლიობა გამონაკლისს არ შეადგენს 8 საათის სამუშაო დღის კანონის საერთო ნორმიდან, და ამიტომ საერთო საფუძველზე დარაჯებმაც ღამ ღამობით 8 საათი უნდა იმუშაონ, თუ კი ამის შესახებ მხარეების რაიმე ცალკე შეთანხმება არ არსებობს. ხოლო დარაჯების და ყარაულების მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ საჭიროა, როგორც ეს ორივე მხარის წარმომადგენელთა კრებაზე გამოირკვა ჩემი თანადასწრებით, დარაჯებს და ყარაულებს საჩქაროთ მიეცენ თბილი მაზარები და მოთელილი ნაბდის ჩექმები“.

### ტფილისის ქიმიურ ქარხნის დათვალიერება.

ტფილისის ქიმიურ ქარხნის ადმინისტრაციას შრომის კომისარმა შემდეგი მიწერილობა გაუგზავნა:

„27 იანვარს თქვენდამი რწმუნებულ ქარხნის დათვალიერების დროს მე აღმოვაჩინე, რომ მუშების საჯამაგირო წიგნაკებში აღნიშნული არ არის, თუ რა დროდან დაუწყვიათ მუშებს თქვენ წარმოებაში მუშაობა და აგრეთვე არ არის აღნიშნული კანონით შემოღებულ წესით ზედმეტი ნამუშევარი საათები. ამ ნიადაგზე რაიმე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ წინადადებას გაძლევთ ყველა ის შენიშვნები, რომელიც ადგილობრივკაუკეთეთ თქვენ, დაუყოვნებლივ შეასრულოთ.“

### სატარიფო პალატის წესდება.

სატარიფო პალატის უახლოეს სხდომაზე განხილულ იქნება პალატის წესდება.

# მიწათ-მოქმ. სამინისტროში.

### შტატების დამზადება.

მიწათ-მოქმედების სამინისტრო ამ ჟამათ სასწრაფოთ იმუშავებს მის უწყებაში მყოფ დაწესებულებათა შტატებს და ხარჯთ აღრიცხვას. საჭიროა ხარჯთ აღრიცხვის სასწრაფოთ წარდგენა ვინაიდან, განზრახულია რომ დამფუძნებელ კრების საბიუჯეტო საფინანსო კომისია სულ მოკლე ხანში შეუდგება 1918—19 და 1919—20 წ. წ. სახელმწიფო ხარჯთ აღრიცხვების განხილვას.

### ბოსტნეულობის სკოლის მოწყობა ტფილისში.

განზრახულია ყოფილ „ტფილისის საბაღოსნო სკოლის“ ადგილზე მოეწყოს ბოსტნეულობის პრაქტიკული სკოლა.

მიწათ-მოქმედების მინისტრის საბჭოს უკვე გადაეცა შესაფერი ხარჯთ აღრიცხვა. სკოლის მოწყობას, წინასწარ გამოანგარიშებით, დასჭირდება 40 ათასი მან.

### კულტურულ მამულის მოწყობა ს. მერეთში.

განზრახულია ს. მერეთში (გორის მაზრა) მოეწყოს კულტურული მამული. შესაფერ ხარჯთ აღრიცხვა უკვე შემუშავებულია და გადაეცა მიწათ მოქმედების საბჭოს. მამულის გასაშენებლათ საჩქარო სამუშაოს საწარმოებლათ საჭიროა 50000 მან.

### ქ. სოხუმის შუამდგომლობა.

სოხუმის ქალაქის თვითმართველობა მიწათ-მოქმედების სამინისტროს წ ნაშე შუამდგომლობს, რათა სოხუმის საცდელ პლანტაციის ტერიტორიაზე მას დაეთმოს ერთ ერთი შენობა საქალაქო სკოლის მოსაწყობად.

### სახელმწიფო ტყის გაჩეხა „გიაურ-არხ“-ში.

მიწათ მოქმედების სამინისტროს აუწყებენ, რომ „გიაურ-არხის“ სახელმწიფო მამულში ადერბეიჯანიდან გადმოსულ მცხოვრებთ გაუჩეხიათ ტყე. დამნაშავენი დაუპატიმრებიათ.

# აგრარული რეფორმის დაჩქარება.

24 იანვარს 1920 წ. შეიკრიბა მიწათ-მოქმედების სამინისტროს მიერ მოწვეულ ერობის და საადგილ-მამულო განყოფილების წარმომადგენელთა თათბირისაგან არჩეული კომისია აგრარულ რეფორმის დაჩქარებით ცხოვრებაში გატარების ზომების გამოსანახავად. სხდომას დაესწრენ: სამაზრო ერობების წარმომადგენლები ხელაძე, მითაიშვილი, სეხნიაშვილი, მენალარიშვილი, პაპავა, ანჯაფარიძე და ცისკარიშვილი. აგრეთვე გადამწყვეტი ხმის უფლებით მოწვეულ იყვნენ აგრარულ რეფორმათა განყოფილების გამგე დ. ჩადუნელი, სამიჯნაო განყოფილების გამგე ვ. გოგილაძე, გადასახლების განყოფილების უფროსი მარუაშვილი და მიწის მზომელთა პროფესიონალურ კავშირის წარმომადგენელნი. უკანასკნელნი სხდომას არ დასწრებიან.

ხანგრძლივი კამათისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კომისიამ დაადგინა; გამოვდივართ რა, იმ მთავარ დებულებიდან, რომ რევოლუციის ძლევა მოსილი მსვლელობის პროცესში წარმოშობილი ესა თუ ის რეფორმა მოითხოვს დაუყონებლივ მის გატარებას, და რომ აგრარული რეფორმის, როგორც რევოლიუციონური ზომის, ცხოვრებაში გატარების დაჩქარებისათვის გამონახულ უნდა იქნეს ისეთი საშუალებანი, რომელიც შესაძლებელს გახდის მშრომელი გლეხობის თავის დროზე დაკმაყოფილებას რეფორმის საუკეთესო შედეგებით: ასეთ ზომათ კი თათბირს მიაჩნია შემდეგი:

1. სამიჯნაო ტეხნიკური მეთოდის განმარ-
2. არსებულ კომისიების რეკონსტრუქცია.
ტივება და მიწის მზომელთა ნამუშევარის ნაყოფიერების გადიდება.
3. აგრარულ რეფორმაზე მომუშავეთა მატერიალურად უზრუნველყოფა.
4. აგრარულ რეფორმაზე მომუშავე პერსონალის გაჯანსაღება.
5. რეფორმის გატარებისათვის საჭირო პერსონალის მობილიზაცია.
6. კონტროლის გაძლიერება, როგორც ცენტრიდან ისე ადგილობრივად.
7. ადგილობრივი პირობების მიხედვით სასურველია პარალელურად სწარმოებდეს ჩამორთმევა-განაწილება.
8. დასაშვებით, იქ სადაც ეს შესაძლებელია, რამდენიმე პირზედ მიწის ერთ ფარგალში მიზომვა.

და 9. აგრარულ რეფორმის გატარებით გამოწვეული დავა უნდა სწარმოებდეს მხოლოდ მიწათ მოქმედების სამინისტროს უწყებათა ფარგლებში თანახმად კანონისა.

1. ოქმის 81. პირველ მუხლში აღნიშნული დებულების დეტალიზაცია ენდოპა: მენალარიშვილს, ნადარეიშვილს, გოგილაძეს და ხუბუტიას.

კრებამ მოისმინა მოხსენება არსებულ კომისიების რეკონსტრუქციის შესახებ და დაადგინა:

ა) ადგილობრივი პირობების მიხედვით სასურველია აგრარული რაიონი მოექცეს თემის ფარგლებში. ბ) მესამე მუხლი ინსტრუქციისა რჩება ძალაში. ვ) მიწის მზომელს და მდივანს ეძლევა გადამჭრელი ხმის უფლება განმანაწილებელ კომისიაში. გ) კომისია შესდგება 8—5 პირისაგან, შემდეგი პერსონალური შემადგენლობით: მიწის მზომელი, მდივანი, თემის გამგეობის წევრი და თემის საბჭოსაგან არჩეული ორი პირი. დ) კომისიის რიცხვის შემცირება ხდება თემის საბჭოს წარმომადგენლების შემცირებით: ე) კომისიის თავმჯდომარეს ირჩევს კომისია თავის წრიდან.

კრებამ მოისმინა მატერიალურად უზრუნველყოფის შესახებ და დაადგინა:

ა) ჯამაგირის მომატების საკითხი დარჩეს ღიათ. ბ) იმ ერობებმა, რომლებიც ამას დღემდე არ შვრებოდენ, საჭიროა გაუთანასწორონ მიწის მზომლები და მდივანი სურსათის მიწოდების მხრივ ერობის თანამშრომლებს. ვ) ვინაიდან არსებული დღიურები მეტისმეტად მცირეა, ამიტომ ის გადიდებულ უნდა იქნეს.

კრებამ მოისმინა მოხსენება აგრარულ რეფორმაზე მომუშავე პერსონალურ შემადგენლობის გაუმჯობესების შესახებ და დაადგინა: 1. დაევალოს ერობათა გამგეობებს ახალ თანამშრომელთა მოწვევის დროს გამოიჩინოს მეტი სიფხიზლე და ესა თუ ის ახალი კანდიდატები თანამდებობაზე დაამტკიცოს მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც საკმაო ცნობებს შეკრებს მათი ვინაობისა და კეთილსინდისიერების შესახებ.

2) მიღებულ იქნეს სათანადო ზომები, რათა მიწების მიმღებ და განმანაწილებელ კომისიებში აირჩენ ხალხის ნდობით აღჭურვილი, პატივცემები და კეთილსინდისიერი პირები. არა სასურველი პირები, (მევახშეები, სოფლის კულაკები) დაუყონებლივ უნდა გაძევებულ იქნენ კომისიებიდან და მათ ადგილას უნდა აირჩენ სხვები.

კრებამ იქონია რა მსჯელობა აგრარულ რეფორმის გატარების დაჩქარებისათვის საჭირო პერსონალის მობილიზაციის შესახებ დაადგინა: აუცილებლად საჭიროა აგრარულ რეფორმის გატარებისათვის საჭირო პერსონალის მობილიზაცია.

კრებამ მოისმინა მოხსენება კანტროლის გაძლიერების შესახებ და დაადგინა:

1) აგრარულ რეფორმის მიზანშეწონილად და დაჩქარებით გასატარებლად აუცილებლად საჭიროა დაუყონებლივ გაძლიერდეს მომუშავე პერსონალის კანტროლი, როგორც ცენტრიდან აგრეთვე სამაზრო ერობის გამგეობიდან;

2) ამ მიზნით აგრარულ რეფორმათა განყოფილებასთან მოწვეულ უნდა იქნეს 3—5 პირი მხოლოდ საკანტროლო ფუნქციების შესასრულებლად და რეფორმის გატარებაზე მომუშავე პერსონალის სახელმძღვანელოდ მათი მუშაობის ერთნაირ წესით საწარმოებლად;

3) მიწის მზომელთა ნამუშევარის შესაფასებლად გაძლიერდეს არსებული ტეხნიკური კანტროლი. სამაზრო ერობებთან არსებულ სამიჯნაო განყოფილებათა გამგეებს დაევალოს ყოველ კვირეული და საფუძვლიანი რევიზია მუშაობისა და ანგარიში წარუდგინონ სამაზრო ერობათა გამგეობას;

4) ეთხოვოს ერობის გამგეობებს დაუყონებლივ შეავსონ შტატი საადგილ-მამულო განყოფილებათა ინსტრუქტორებისა, რომლებმაც მუდმივი და ცოცხალი კავშირი უნდა იქონიონ რაიონებში მომუშავე სააგრარო კომისიებთან. ყოველ კვირეული ვრცელი ანგარიში უნდა წარმოუდგინონ ერობათა გამგეობას კომისიების მუშაობის შესახებ.

სასურველია პარალელურად სწარმოებდეს ჩამორთმევა-განაწილება, სადაც ეს მოსახერხებელი იქნება.

რეფორმის დაჩქარებისათვის, თუ კი ეს ადგილობრივ შესაძლებელი იქნება, სასურველია რამდენიმე პირისათვის ერთ ნაკვეთში მიწის მიზომვა.

1) საადგილ-მამულო რეფორმის გამო ატეხილი ყოველგვარი დავა უნდა ირჩეოდეს მხოლოდ მიწათ-მოქმედების სამინისტროს ორგანოებისაგან თანახმად მოქმედი ინსტრუქციებისა და წესისა. აეკრძალოს ყველა დანარჩენ უწყებათა სხვა და სხვა ინსტანციებს და მოხელეებს აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებული საქმეების და საჩივრების მიღება-გარჩევა ეთხოვოს მიწათ მოქმედების სამინისტროს კანონმდებლობითი წესით დაადასტურებინოს ვისაც ჯერ არს ეს ერთსულოვანი თხოვნა კრების;

2) ეთხოვოს სამინისტროს სათანადო განყოფილებებს, თანახმად სამინისტროს საბჭოს დადგენილებისა, სრულებით შესწყვიტონ 1918 წ. კომისიების მუშაობის შესახებ 1919 წლის 15 ივლისს აქეთ შემოტანილ საჩივრების განხილვა. ასეთი საჩივრები, როგორც გამონაკლისი, შესაძლოა მიღებულ იქნეს განსახილველად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ თან ექნებათ დართული სამაზრო ერობის გამგეობის დასაბუთებული შუამდგომლობა;

3) 1919 წლის 28 იანვრის კანონის მე-15 და 16 მუხლისა და აგრეთვე ამავე წლის ათი აპრილის ინსტრუქციის მესამე მუხლის ძალით მიწების როგორც ჩამორთმევაზე, ისე განაწილებაზე საჩივარი განსაზღვრულ ვადაში უნდა შედიოდეს სარაიონო კომისიებსა და ერობათა გამგეობაში. ერობის გამგეობა, როგორც საბოლოო ინსტანცია, ან არღვევს შედგენილ აქტებს, ან ამტკიცებს მათ. ერობათა გამგეობას გარეშე, ან ზევით ამ საჩივრების განხილვა არც კანონით არის დაშვებული და თვით რეფორმის გატარების საქმესაც დიდად აძნელებს. ამიტომ ეთხოვოს მიწათ მოქმედების სამინისტროს დანარჩენ ორგანოებს, სადაც ასეთი საჩივრები იყრის თავს, დაუყონებლივ გადაუგზავნონ ეს საჩივრები ერობათა გამგეობას კუთვნილებისამებრ.

# ქალაქის თვითმართველობაში.

### გადამდები ავათმყოფობანი.

16-დან 23 იანვრამდე ტფილისში ავათ გამხდარა: პარტახტიანი სახადით—5, ყვავილით—1, წითელათი—2, ხუნაგით—1.

### ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვა 1920 წლისთვის.

ოთხშაბათობით და შაბათობით ქალაქის გამგეობა თავის სხდომებს მოანდომებს 1919—20 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას. ჯერჯერობით განიხილეს და მიიღეს ელექტრონის სადგურის, ქუჩების განათების და სამისამართო მაგიდის ხარჯთ აღრიცხვები.

### ტრამვაის ახალი ლიანდაგი.

ტრამვაის 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილია ხარჯები: ტრამვაის ახალი ლიანდაგის გასაყვანად ქალაქის სასაკლაომდე; განზრახულია აგრეთვე ქალაქის ელექტრონის სადგურის ორთქლით მოძრავ ყველა მანქანების კაპიტალური რემონტი, ტრამვაის სახელოსნოების გაფართოვება, რისთვისაც მოწვეულნი არიან სპეციალისტი ჩეხო-სლოვაკები და სხვა სამუშაოების წარმოება ტრამვაის გასაფართოვებლათ.

### ტრამვაის ბილეთების ფასის გადიდება.

სამშაბათიდან მოელიან ტრამვაის ბილეთების ფასის გადიდებას.

### ქალაქის ელექტრონის სადგურზე.

ახლო მომავალში ქალაქის ელექტრონის სადგურზე აამუშავებენ „დიზელ“-ის მანქანა № 1 და უკვე შეუდგნენ „დიზელ“ № 2 ის შეკეთებას, რისთვისაც მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილია 150,000 მანეთამდე.

### ქალაქის წყალსადენისთვის.

ქალაქის თვითმართველობამ გერმანიიდან მიიღო წყალსადენის ზოგიერთი ნაწილები და სხვათა შორის წყალსაზომები.

# დეპეშები.

(საქართვ. დეპეშათა სააგენტო).

### ფრანგული პრესა.

საერთაშორისო შრომის ბიუროს ადმინისტრატიულ საბჭოს სხდომა გაგრძელდა სამშაბათს, რომელზედაც საბოლოოდ დაამტკიცეს კონვენციები, რომლებიც გამომუშავებული იყო ვაშინგტონის კონფერენციაზე. საფრანგეთის, ბელგიის და შვეიცარიის მეპატრონეთა დელეგატებმა თავისი შენიშვნები გაიმეორეს 8 საათის მუშაობის კანონის გატარების შესახებ. ინტერნაციონალურ შრომის ბიუროს დირექტორათ ერთხმად აირჩიეს ალბერტ ტომა.

გადაწყვეტილია 15 ივნისს [მოიწვიონ მეზღვაურთა საერთაშორისო კონფერენცია ჭ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონფერენციაში მუშაობის დროისა და ქირის საკითხთა განსახილველად.

სამხრეთ-სლავიის მთავრობას ჯერაც არ მოუცია პასუხი ადრიატიკის საკითხის მოწესრიგების პროექტის შესახებ, რომელიც მას გადასცა იტალიამ, დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა. ტრუმბიჩმა პარიზში განაცხადა, რომ ბელგრადში დიდი მღელვარება არის. ხალხი აწყობს მიტინგებს და მთავრობისაგან ნაციონალურ ინტერესების დაცვას მოითხოვს.

ვილჰელმ ჰოგენცოლერნმა ამერონგენის სასახლეში იდღესასწაულა თავის დაბადებიდან 61 წლის შესრულება.

„ტანი“ შემდეგნაირათ აგვიწერს პუანკარეს მოგზაურობას ბელგიაში: საფრანგეთის პრეზიდენტის იზერის ფრონტის წამებულ ქალაქებში დარბაზობამ საფრანგეთ-ბელგიის მეგობრობის მანიფესტაციის ხასიათი მიიღო. ამ დარბაზობამ მთელ ბელგიაში გამოიწვია ცოცხალი ინტერესი, რადგანაც გარდა იმისა, რომ საფრანგეთმა პატივისცემა გამოხატა იმ ქალაქებისადმი, რომელიც 5 წლის განმავლობაში მედგრათ იცავდენ ბელგიის მიწის უკანასკნელ ნაჭერს. პუანკარეს დარბაზობას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს. ოთხშაბათს ბრიუსელში პალატის სხდომა არ იქნება, რათა საშუალება მისცენ დიდი ნაწილს (გამოტოვებულია). რესპუბლიკის პრეზიდენტი, და რომ ბელგიის მხრივ პრემიერ მინისტრი დელაკრუა და გარეშე საქმეთა მინისტრი პოლ გიმანსი მეფე ალბერტს თან ახლავან საკმაოთ ამტკიცებს იმას, რომ მეტად დიდმნიშვნელოვანი საუბრები გაიმართება, რომელიც უეჭველად შეეხება საფრანგეთისა და ბელგიის ეკონომიურსა და სამხედრო შეთანხმებათ. ამ შეთანხმებას ესწრაფის ბელგიის ყველა პატრიოტი. მან საბოლოოდ უნდა განამტკიცოს ის ძლიერი კავშირი, რომელიც მუდამ არსდებობდა ორ ნათესავ ხალხში.

ასეთი აზრი არსებობს დღეს ბელგიის პოლიტიკურ წრეებში და ეს როგორც სჩანს მტკიცდება მით, რომ ბელგიის ქალაქებისადმი სამხედრო ჯვრის გადაცემის ცერემონიის შემდეგ რესპუბლიკის პრეზიდენტსა და მეფე ალბერტს შორის მატარებელში იქნება საუბარი, რომელშიაც ორივე მხრით მონაწილეობას მიიღებენ მინისტრები და სამხედრო უფროსები.

პრაგიდან იუწყებიან: ეროვნულ კრებაზე ბენეშმა განაცხადა, რომ ჩეხიასა და ავსტრიას შორის არავითარ ხელშეკრულებაზე არ არის ხელი მოწერილი. მოლაპარაკება სწარმოებდა იმ მიზნით, რომ გამოგვერკვია საზღვრებისა და ვაჭრობის საკითხები.

გელსინგფორსის უშედეგო კონფერენციის შემდეგ პოლონეთის უმაღლეს სარდლობას მიზნად აქვს დაიცვას ლატვიის ტერიტორია ვინმეს ეხრივ თავდასხმისაგან. კერძოთ მიღებულია ზომები რათა დაიცვან ერთად ერთი რკინის გზა, რომელიც აერთებს ვარშავას და ვილნოს დვინსკთან და ლატვიასთან. გენერალი პილსუდსკი ლიტვის ფრონტზე წავიდა.

უნგრეთი ვადის გაგრძელებას ითხოვს.

გერმანია ანტანტას სთხოვს, რათა მან უარი სთქვას საზავო ხელშეკრულების 228 და 230 მუხლების ცხოვრებაში გატარებაზე. ეს მუხლები დამნაშავეთა გაცემას ეხება.

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტსა და ბელგიის მეფეს, ორივე სახელმწიფოს პრემიერ მინისტრებს, ბელგიის გარეშე საქმეთა მინისტრს, ორთავე ელჩებს და მარშალ ფოშს მუ ჯელობა ჰქონდათ სხვა და სხვა ფინანს.-ეკონომ. და სამხედრო საკითხებზე, რომელნიც ორივე მხარეს აინტერესებს. აზრთა გაცვლა-გამოცვლას მეგობრული ტონი ჰქონდა. შედეგები ორივე სახელმწიფოსათვის დამაკმაყოფილებელია. ბელგიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა: ბელგიის მთავრობა საფრანგეთს გადასცემს ყველა ნახშირს, რაც მის განკარგულებაშია; შრომის მინისტრმა მაღაროების მუშებისადმი მოწოდება გამოსცა სამუშაო დღის გაგრძელების შესახებ სწორედ იმ მიზნით, რომ თავის ფრანგ ძმებს დაეხმარონ.

ავიატორი პული, რომელსაც პარიზიდან მელბურნში გადაფრენა სურდა რანგუნში ახალ აპარატს უცდის.

რიკსდაგის საპარლამენტთაშორისო ჯგუფმა წინადადება შეიტანა, რომ 1919 წ. ნობელის ჯილდო პრეზიდენტ ვილსონს მისცენ.

სერბია კროატია სლოვენიის სახელმწიფოს დელეგატებმა პაშიჩმა და ტრუმბიჩმა ოთხშაბათს საღამოს ინახულეს პალეოლოგი და შეატყობინეს მას, რომ მათ თავისი მთავრობისაგან მიიღეს პასუხი ადრიატიკის საკითხის მოწესრიგების შესახებ. დოკუმენტში ბევრი რამ არის გამოტოვებული ცუდი გადმოცემის გამო. ზოგი ადგილის გაშიფრება მეტად ძნელია. დელეგაცია თავს იკავებს და საბუთს ჯერ ვერ გადასცემს მათ, სანამ ტექსტი სავსებით არ იქნება აღდგენილი. ნოტის შინაარსის ზოგი ცნობა ბეჭვდით ორგანოებში გამოჩნდა. „პტი პარიზიენი“ სწერს: მიუხედავათ იმისა, რომ პასუხი ტკბილი და მეგობრული ენით არის ნაწერი—იგი ვერ ეთანხმება იმ პროექტს, რომელიც შეადგინა კლემანსომ, ლოიდ ჯორჯმა და ნიტტიმ. პასუხი თხოულობს რამდენიმე მუხლის შეცვლას და შესწორებას, მაგრამ შიგ ისე ძლიერათ არის გამოთქმული შეთანხმების სურვილი, რომ ეჭვს გარეშეა, რომ მას განიხილავენ.

საფრანგეთის წრეები ადასტურებენ „ტაიმსის“ დეპეშის სინამდვილეს იმის შესახებ, რომ ამირბარი კოლჩაკი ირკუტსკის რევოლიუციონურ-სოციალისტურ მთავრობის ხელში იმყოფება. საფრანგეთის მთავრობა ამის შესახებ შეეკითხა ციმბირში მყოფ თავის უმაღლეს კომისარს და მიანდო მას ამირბარის განთავისუფლების მოთხოვნა.

**ნაუენი**, იანვ. 27. როდესაც ერცბერგი გამოდიოდა სასამართლოს შენობიდან, სადაც გელფერიხის საქმე ირჩეოდა მას ორჯერ ესროლა ყოფილმა პრაპორშჩიკმა ფონ-გირშფელდმა. გერმანული მემარცხენე პრესა ამ თავდასხმის პასუხისმგებლობას აკისრებს მემარჯვენე პრესას, რომლის პროპაგანდის წყალობით შესაძლებელი შეიქნა თავდასხმა. ფონ გირშფელდმა განაცხადა, რომ თავდასხმა მას გააბედვინა იმ რწმენამ, რომ ერცბერგი გერმანიისთვის მავნე ელემენტია და როდესაც მას მოჰკლავდა ამით დიდ სამსახურს გაუწევდა ხალხს.

**იუზიევი**, იანვ. 26. ბულგარეთში ისევ დაიწყო მოძრაობა, რომელიც ქალაქებიდან სოფლებსაც მოედო. ფილიპოპოვში მთავრობის ჯარსა და აჯანყებულებს შორის შეტაკება მოხდა, რის შემდეგ ქუჩაში 120 გვამი დარჩა.

**ლიონი**, იანვ. 28. გაზ. „ეხო-დე პარი“-ს ციურიხიდან ატყობინებენ: ხმები დადის, რომ გენერალი დენიკინი და მისი მთავარი შტაბი გაიქცა სტამბოლში ინგლისის გემით.

**იურიევი**, იანვ. 27.—ესტონეთის გაზეთების ცნობით, ჩრდილოეთ დასავლეთის ყოფილმა მთავარსარდალმა ბრძანება გასცა, რომელიც ჯარს აცხადებს დაშლილათ. დაშლის მიზეზათ აცხადებს ესტონეთსა და საბჭოთა რუსეთის შორის ზავის შეკვრას და შექმნილ მდგომარეობიდან გამოუსვლელობას.

### ბოლშევიკური ცნობები.

**მოსკოვი**. იან. 29. სამხედრო ცნობა. ნარვის რაიონში 16 გამოქცეული მივიღეთ. რეჟიცის რაიონში ჩვენი ჯარი იბრძვის. მოზირის რაიონში ჩვენი ჯარი იბრძვის. მოზირის რაიონში მდ. პტიჩზე ბრძოლაა; მოზირის სამხრეთ-დასავლეთით 35 ვერსზე ჩვენ ბრძოლით სოფლები ავიღეთ. ელისავეტგრადის რაიონში ნოვო-მირგოროდის სამხრეთით 15 ვერსზე მტრის იერიშები მოვიგერიეთ და დაბა მალაია ვისკა ავიღეთ. პერეკოპის ჩრდილოეთით და გენიჩესკის დასავლეთით 15 ვერსზე ჩვენი ჯარი შეტევით ბრძოლას აწარმოებს. ნოვოჩერკასკის რაიონში ჩვენ ბრძოლით ავიღეთ სად. მანიჩსკაია და ამ სადგურის სამხრეთ-აღმოსავლეთით 10 ვერსზე მდებარე რამდენიმე სოფელი. ჩვენი ცხენოსანი ნაწილები გადავიდენ მდ. მანიჩის მარცხენა ნაპირზე და აგრძელებენ რა შეტევას გადავიდენ აგრეთვე მდ. კალაუსზე და მიტროფანოვკა დაიჭირეს, ამ მდ. მარცხენა ნაპირზე ჩვენ ვოზდვიჟენსკოე ავიღეთ.

**მოსკოვი** იან. 29. სახალხო სამეურნეო საბჭოს ყრილობის მე-5 დღეს ლენინმა სიტყვა წარმოსთქვა და სხვა-თაშორის სთქვა: „ცდა, რომელიც საბჭოთამთავრობამ მოახდინა სამხედრო აღმაშენებლობის საქმეში არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც განცალკევებული ცდა. ომი თავის შემადგენლობაში ყოველგვარ სახის აღმაშენლობას შეიცას. ჩვენ არმიის აღმაშენებლობამ მხოლოთ იმიტომ მიგვიყვანა სასურველ შედეგამდე, რომ იგი იქმნებოდა საბჭოთა საერთო აღმშენებლობის თანხმად კლასთა დამოკიდებულების საფუძველზე. ამ ცდას უნდა ჩაუკვირდეთ. მან ჩაიარა მიზანშეწონილად განვითარდა რა იგი შემთხვევითი კოლეგიალობიდან, კოლეგიალობით, რომელიც ორგანიზაციის სისტემაში იყო შეტანილი... (გამოტოვებულია)... უკეთეს შემთხვევაში კოლეგიალობა იძლევა ძალების დიდ დახარჯვას და არ აკმაყოფილებს სისწრაფეს და იმ გარკვევით მუშაობს, რომელსაც ითხოვს მძიმე მრეწველობის მდგომარეობა. მეორე საკითხი გარდა კოლეგიალობისა, არის საკითხი მშრომელი არმიისა. ჩვენ წინ სდგას მიზანი, რომელიც ეხება ჩვენი მოქმედების ორი ხანის შეცვლას. ის დრო, რომელიც სრულიად დაჭერილი იყო ომით, ჯერაც არ დასრულებულა. ჩვენ უნდა ვიყოთ მზად. მაგრამ ამ საერთოდ ის ომი, რომელიც თავზე დაევატეხეს კაპიტალისტებმა ორი წლის წინად გამარჯვებით დასრულდა ჩვენ და ზავის საკითხებზე გადავდივართ, უნდა გაგებულ იქნას ამ გადახვლის ორიგინალობა.

# უცხოეთში

### შეერთებული შტატები.

იტალიის გაზეთების ცნობით, შეერთებულ შტატების მთავრობამ აცნობა მოკავშირეთა მთავრობებს, რომ ოსმალეთის საკითხი სერიოზულათ აინტერესებს შეერთებულ შტატებს, და გავრცელებული ხმები ვითომ ამერიკას არ უნდოდეს მონაწილეობის მიღება ამ საკითხის გამორკვევაში, უსაფუძვლოა.

### ავსტრია.

ვენის გაზეთები იტყობინებიან, რომ 80 (კაცი) ცოლი და ბავშვები უნგრეთის კომუნისტებისა, რომლებიც უნგრეთის საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად დაპატიმრებული იყვნენ კარლშტეინში, განთავისუფლდენ იტალიაში წასასვლელად. მათი განთავისუფლება მოხდა მილანის სოციალისტების სურვილის თანახმათ. მილანის ქალაქის თავი ხელმძღვანელობდა იტალიის დელეგაციას, რომელიც ვენაში ჩამოვიდა ვენის დამშეულ ბავშვების ნაწილის იტალიაში გადაყვანის მიზნით.

### ავსტრიის ფლოტი.

ჟენევიდან იტყობინებიან: „კატაროში ჩამოსული მოკავშირეთა საზღვაო კომისია ადასტურებს ცნობას, რომ იქ მყოფ ავსტრიის ფლოტმა, რომელიც სამშვიდობო მოლაპარაკების თანახმათ, უნდა გადაცემოდა მოკავშირეებს, განიცადა მეორე „სკაპა-ფლო“. ავსტრიელებმა მოხსნეს გემებს მთავარი ნაწილები, რის გამო ისინი გამოუსადეგარი გახდენ. მხოლოთ კორპუსები დარჩა ხელუხლებელი. ამ გემების შეკეთებას რამდენიმე თვე უნდა, ასე რომ ისინი ერთ წელზე ადრე ვერ დაიწყებენ მოქმედებას.

### ბულგარეთი.

სტამბოლის გაზეთების ცნობით, ბულგარეთში გაფიცვები დღითიდღე ძლიერდება. ზოგ ქალაქებს შუა მიმოსვლა შეწყვეტილია. ბევრ ადგილას გადაჭრილია ტელეგრაფის მავთულები. მეამბოხეებმა ააფეთქეს 5 ხიდი. მთავრობის ჯარებთან მწვავე შეტაკების შემდეგ მათ აიღეს ქალაქი ტუტარაკანი.

ანტიმონარხიულმა მოძრაობამ ბევრი მსხვერპლი შეიწირა. შეტაკება მოხდა მეფის მოედანზე, სადაც დარჩა 100 მოკლული და დაჭრილი.

ადრიანოპოლიდან იტყობინებიან, რომ ბულგარეთიდან მატარებლები არ მოდის.

სოფიიდან იტყობინებიან, რომ პალატამ ხმის უმრავლესობით მოიწონა მთავრობის მოქმედება.

### საბერძნეთი.

მთავრობამ შეიმუშავა კანონ პროექტი, რომელიც საბერძნეთის ქვეშევრდომ ებრაელებს აძლევს ამავე უპირატესობას სამხედრო სამსახურში, როგორითაც სარგებლობენ საბერძნეთის ქვეშევრდომი მუსულმანები.

### ამერიკა და იაპონია.

გაზ. „ნიუ-იორკ გეროლდ“-ის ატყობინებენ პარიზიდან, რომ ფრანგულ წრეებში გავრცელებულია ხმები ამერიკისა და იაპონიის შეთანხმების შესახებ ჩინეთში ერთად სამოქმედოთ. ამ ცნობას სახელმწიფო დეპარტამენტი უარყოფს.

# სახალხო გვარდიაში.

### ოფიცერის დათხოვნა.

სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა დაადგინა ქართველ სტუდენტთა დღეს 26 იანვარს, არტისტიულ საზოგადოების დარბაზში საღამოზე მომხდარ ინციდენტის გამო ოფიცერი ყარანგოზიშვილი 2 კვირით დააპატიმრონ და სამსახურიდან დაითხოვონ.

### წარმომადგენლის დანიშვნა.

მომარაგების სამინისტროსთან სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა თავის წარმომადგენლათ დანიშნა ილია ქარცივაძე.

### გვარდიელთა კლუბი ქ. დუშეთში.

დუშეთის სახალხო გვარდიის შტაბმა სთხოვა სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს 69,539 მან. გადასდოს დუშეთში სახალხო გვარდიელთა კლუბის მოსაწყობათ.

### მთავარ შტაბის ხარჯთ-აღრიცხვა

სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა გადაათვალიერა თავისი ხარჯთ-აღრიცხვა მიმდინარე საბიუჯეტო წლისთვის და საჭირო თანხა გადასდო.

# წ. კ. საზოგადოებაში.

იანვრის 28 წ. კ. გ. საზოგადოების ბინაზე შესდგა გამგეობის წევრთა საგანგებო კრება, რომელთაც დაესწრენ განსვენებული ილია ჭავჭავაძის ქვრივის ავადმყოფ ოლღა ჭავჭავაძის მზრუნველნი (აპეკუნი) ქ-ნი მელიქიშვილისა, შალიკაშვილისა და ექიმი მიხეილ გედევანიშვილი. კრებამ იქონია ბჭობა ავადმყოფი ქვრივის ოლღა ჭავჭავაძის მოვლა-პატრონობის შესახებ და მიიღო რა მხედველობაში ის გარემოება, რომ დღევანდელს პირობებში შეუძლებელია იმ მცირე დახმარებით არსებობა, რომელსაც ღებულობს ოლღა ჭავჭავაძისა (ბანკიდან 1200 მან., ხოლო წ. კ. გ. საზ. 300 მან.) დაადგინა გაუდიდოს დახმარება 2000 მანეთამდე. ილიძრას შუამდგომლობა ბანკის წინაშე, რათა ბანკმა თავის მარითაც გაუდიდოს დახმარება, მაგრამ ამასთან გამგეობამ საჭიროდ დაინახა გააძლიეროს მეთვალყურეობა ანუ კონტროლი საზოგადოების მხრივ, რათა გადიდებული თანხა თავის დანიშნულებისამებრ იხარჯებოდეს და ავადმყოფ მანდილოსანს სათანადო მოვლა-პატრონობა არ აკლდებოდეს. ამ მიზნით გამგეობამ მეთვალყურეობა საზოგადოების მხრივ მიანდო საზოგადო მოღვაწეს პეტრე სურგულაძეს.

# მასწავლებელთა კავშირში.

### კავშირის საბჭოში.

მასწავლებელთა კავშირის საბჭო უკვე შეუდგა საქმიანობას. საბჭოს სხდომები იმართება კვირაში ერთხელ. საბჭომ თავის მხრით 5 კაცისაგან აირჩია ბიურო და კავშირის მორიგ საქმეთა გაძღოლა მიანდო. მუდმივ მდივნად განსაზღვრულის ჯამაგირით მიწვეულია პ. ჭანიშვილი. საბჭომ, სხვათა შორის, შემდეგი დაავალა ბიუროს: შეიმუშაოს თანამდებობის პირთა ინსტრუქცია და საბჭოს რეგლამენტი და დააჩქაროს მასწავლებელთა კავშირისთვის შენობის შოვნა. ამ შენობაში მოთავსებული იქნება: პროვინციიდან ჩამოსულ მასწავლებელთა ბინა, კავშირის საბჭო და ბიურო, ჟურნალ „განათლების“ რედაქცია, საბავშო და პედაგოგიურ ლიტერატურის გამომცემელი კომისია და აუდიტორია ლექციების წასაკითხად და სხვა.

### კავშირის ბიუროში.

ბიუროც თავის მხრივ უკვე შეუდგა მუშაობას. ბიუროს ექნება არა ნაკლები ერთის სხდომისა კვირაში. ბიურომ სხვათა შორის, დაადგინა, მიმართოს მოწოდებით მასწავლებელთ, რათა მათ ჟურნალ „განათლებას“ ფართო თანამშრომლობა გაუწიონ და სისტემატიურად წერილები მოაწოდონ თანამედროვე პედაგოგიურ მიმდინარეობისა და ადგილობრივი სწავლა-განათლების მდგომარეობის შესახებ.

ბიუროს თაოსნობით მასწავლებელთა კავშირის საბჭოსთან არსდება მუდმივი პედაგოგიურ-ლიტერატურის კომისია, რომელმაც უნდა აწარმოოს გამომცემლობა—და შეადგინოს და სთარგმნოს ჩვენის სკოლებისათვის საჭირო წიგნები. აგრეთვე არსდება საბავშვო ლიტერატურისა და ჟურნალის კომისია. ამ მიზნის განსახორციელებლად ბიურომ დაადგინა, სთხოვოს ნივთიერი დახმარება სახალხო განათლების სამინისტროს.

ბიურომ დაადგინა, მიმართოს მასწავლებელთ თხოვნით, რომ მოაწოდონ დაწვრილებითი ცნობები მასწავლებელთა კავშირისა და მათ შემადგენლობის შესახებ.

განათლების სამინისტომ მასწავლებელთა კავშირს 30,000 მან. დახმარება აღმოუჩინა მიმდინარე ხარჯების დასაფარავად.

### ჟურნალი „განათლება“.

მასწავლებელთა კავშირის ბიურომ ეროვნებს შემდეგის მოწოდებით მიმართა.

„სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის საბჭო მოგმართავს თქვენ უმორჩილესი თხოვნით ხელი შეუწყოთ საპედაგოგიო სამეცნიერო ჟურნალ „განათლების“ გავრცელებას თქვენ სკოლებში.

თანახმად სრულიად საქართველოს მასწავლებელთა დელეგატების 1 ყრილობის დადგენილებისა ჟურნალი გამოვა 1920 წლის იანვრიდან სისტემატიურად ყოველ თვეში ზემოხსენებულ კავშირის ბიუროს ხელმძღვანელობით. მიმდინარე წელს აუცილებლად გამოვა 10 ნომერი. წლიური ფასი ნავარაუდევია 300 მან., რომლის ანგარიშში ამ თავად შეიძლება შემოტანილ იქნას 150 მან., დანარჩენი კი არა უგვიანეს ივნისის დამლევისა. იმედია დემოკრატიულ თვითმმართველობის ორგანო, რომლის უმთავრეს დანიშნულებას უნდა შეადგენდეს სახალხო განათლების სასურველ ნიადაგზე დაყენება მასწავ-

ლებელთა შორის თანამედროვე პედაგოგიის მოთხოვნილებათა და სალი პრინციპების გავრცელებით, რაც უმთავრეს მიზნად დასახული აქვს ჟურ. „განათლებას"—გამოუწეროს თავის სკოლებს ამ ერთად-ერთ პერიოდულ ორგანოს.

დღემდე გამოსული ჟურნალი სამი ნომერი ღირს 35 მან.

ამასთან ერთად ბიურო გამოსთქვამს იმედს, რომ კეთილ ინებებთ და დრო გამოშვებით მოგვაწვდით ცნობებს თქვენ გამგებლობაში არსებულ სკოლების შესახებ.

ფული და ცნობები უნდა გადმოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ტფილისი, დამფუძნებელი კრების ქუჩა № 5, ვარლამ ბურჯანიძეს".

# სხვა და სხვა

✦ მთავრობის თავმჯდომარეს შემდეგი დეპეშა მოუვიდა ერევნიდან:

სომხეთის მთავრობის სახელით მხურვალე მადლობას გიგზავნით თქვენი მილოცვის და თქვენ მიერ გამოთქმულ კეთილ სურვილებისათვის სომხეთის რესპუბლიკის ცნობის გამო.

პრემიერ მინისტრი ხატისიანი.

✦ საგარეო საქმეთა სამინისტროს მოუვიდა შემდეგი შინაარსის დეპეშა, რომელიც ინდო ევროპის ტელეგრაფის საშუალებით 28 იანვარს იქნა მიღებული ბათუმში:

„ბედნიერი ვართ გაუწყოთ ჩვენი რესპუბლიკის დამოუკიდებლობა ცნობილი კონფერენციის მიერ".

გაუმარჯოს საქართველოს!

საქართველოს დელეგაცია პარიზში.

✦ ყოფილ ქალთა უმაღლეს კურსების ყოფილ რექტორმა პროფესორმა თ. ბლაგოვიდოვმა მთავრობის თავმჯდომარეს თხოვნით მიმართა, რათა მიწათ-მოქმედების სამინისტროდან, რომლის სამსახურშიაც ის იმყოფება გადაიყვანოს განათლების უწყებაში, რადგან მას ამ დარგში უფრო მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია.

✦ კვირას, 1 თებერვალს, დღის 12 საათზე ტფილისის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში შესდგება ამავე ინსტიტუტის ქართველ სტუდენტთა საერთო კრება. განსახილველია პოლიტეხნიკუმის მატერიალურ მდგომარეობის საკითხი.

✦ შაბათს, 31 იანვარს, სახალხო სახლში წარმოდგენილი იქნება შილლერის ტრაგედია „ყაჩაღები". ადგილების ფასი სახალხოა, დასაწყისი $7^1/_2$ საათ.

✦ ადგილობრივ ებრაელთა ეროვნული საბჭო აგროვებს დიდ თანხას დასავლეთ რუსეთში დარბეულ ებრაელთა სასარგებლოთ. ზოგიერთმა ებრაელმა უარი განაცხადა ამ ფონდში ფულის შეტანაზე. ამის გამო ეროვნულმა საბჭომ დაადგინა ამათ საყურადღებოთ გაზეთებში გამოაცხადოს, რომ ვინც 1 კვირაში არ შემოიტანს ფულს, მათი გვარები პრესაში იქნება გამოცხადებული.

✦ დამფუძნებელმა კრებამ შემდეგი ორი დეპეშა მიიღო ქალ. ენზელიდან (სპარსეთი): ქართული საზოგადოება „გურჯისტანი" ენზელიდან დამფუძნებელ კრების სახით ქართველ ხალხს მოულოცავს საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას და უსურვებს მის დემოკრატიას შემდეგ განვითარებას და აყვავებას. „გურჯისტანის" გამგეობა:

„ენზელში მყოფ ქართველ მოხელეთა ერთი ჯგუფი დიდი აღფრთოვანებით ეგებება საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას და სალამს უძღვნის საქართველოს ბელადს ნოე ჟორდანიას და მის ამხანაგებს და უსურვებს შემდეგ მაღალ ნაბიჯებს დემოკრატიის საკეთილდღეოთ".

# ისტორიული ხელთნაწერი

**იმერეთის ამბოხების ისტორიიდან**

არსებობს ხელთნაწერი რუსულს ენაზედ, დღემდე დაუბეჭდავი, შეეხება იმერეთის ამბოხების საქმეს. აღწერილია დაწვრილებით ამბოხება იმერეთისა, გურიისა, სამეგრელოსი, სვანეთის, აფხაზეთის და მასთან მთლად იმერეთის ერისა რუსეთის მთავრობის ბოროტების წინაალმდეგ.

დამწერი ამ წიგნისა გახლავთ ისეთი კაცი, რომელიც თვით ყოფილა თანადამსწრე ამ ამბებისა და მასთანვე იგი ყოფილა ამ დროს მთავრობის მოხელე და თვით მთავრობისგანვე დანიშნული ამ ამბოხებათა გამოსაძიებლათ და მის მიზეზების ასანუსხავათ. ამ პირს მიმოუვლია იმერეთის ყველა კუთხეები და ყოველისფერი დაწვრილებით აუწერია. ეს პირი გახლდათ ლუკა სტეფანეს ძე ისარლოვი. იმავ აჯანყებათა დროს მთავრობის მოხელე, დამსახურებული პირი, სამოქალაქო გენერალი და 1880 წ. ქართული ენის ცენზორათაც ყოფილა. იგივე იყო თანამედროვე ნიკ. ბარათაშვილის, გრიგ. ორბელიანისა, ვახ. ორბელიანის და სხვათა იმ დროის ქართველთა.

იგი ქართულ მწერლობასაც მისდევდა და 1853 წ. სწერდა ლექსებს და ჯერე ათავსებდა გ. ერისთავის ჟურ. „ცისკარში" 1853 წლიდან და ამის მერე ივ. კერესელიძის ჟურნალში 1857 წ. ესევე პირი რუსულადაც სწერდა წერილებს, თითქმის სულ საქართველოს ისტორიის შესახებ და ამ წერილებს იგი ათავსებდა ტფილისის და პეტროგრადის რუსულ გაზეთებში.

ამ პირის გარდაცვალების შემდეგ ქართულის და რუსულის ნაწერების სამი წიგნი დაბეჭდეს. ორი ქართულს ენაზედ და ერთიც რუსულს ენაზედ. 1899 წ. სახელდობრ: „Письма о грузіи", ვრცელი ტომი, მოთავსებულია 30 წერილი, სულ საქართველოს ისტორიის და ქართველი ერის წარსული ცხოვრების შესახებ. დაუბეჭდავი დარჩა მეორე წიგნი, რომელიც სულ ხელთნაწერი წერილებით არის სავსე. პირველი წიგნის დაბეჭდვის შემდეგ ეს ხელთნაწერი წარვადგინე ცენზორის კომიტეტში და ნებართვა ვთხოვე გამოსაცემათ. ცენზორებმა გასინჯეს და გამოცემა აეკრძალეს.

ეს ხელთნაწერი მათ უნდა წაერთმიათ, მაგრამ ბევრი თხოვნის შემდეგ, მაშინდელ ცენზორის კომიტეტის თავმჯდომარე ვაკელმა, რომელიც ლიბერალობდა, ეს ხელთნაწერი დამიბრუნეს უფრო კი იმ საფუძვლით, რომ იგი დაწერილია ცენზორათ ყოფილის რუსის მთავრობის მოხელისაგანაო.

ამის შემდეგ, ეს ხელთნაწერი მე მაქვს ხელთ. 1900 წ. ტფილისში გამოვიდა რუსულს ენაზე თვიური ჟურნალი „კავკაზსკი ვესტნიკი". ამის გამომცემლათ იყო რუსის ხულიგანი და მონარქისტი კობიაკოვი და რედაქტორათ ყორღანოვი. მდიდარის მილიონერის სომეხ მანთაშევის სიძე.

ამ პირმა კინაღამ ეს წიგნი წამართო, ბევრის უსიამოვნობის შემდეგ ხელთნაწერი დამიბრუნა, მხოლოთ ერთი წილი კი მოეგლიჯა, სადაც აწერილი იყო რუსების დაუსრულებელი ბოროტებანი ქართველი ერის წინაშე. მე ვიდავე ამისთვის, მაგრამ აღარ დამიბრუნეს და თვინონაც მალე გარდაიცვალა. ასე და ამგვარათ ამ ხულიგანთან დაიკარგა მცირე ნაწილი ამ წიგნისა. ეს ხულიგანი მე მემდურებოდა და ცენზორებსაც მისცა შენიშვნა, რომ თქვენ ნება რათ მიეცით, რომ წიგნს ზედა პირზედ „Письма о грузіи" დაუწერიაო. ამას გულს უხეთქავდა საქართველოს ხსენება.

ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული ხელთნაწერი წიგნი შეიცავს აღწერას იმერეთის აჯანყების, გურიის, სამეგრელოსი, სვანეთის, აფხაზეთის და მთლათ მთელის იმერეთის.

დამწერი მოგვითხრობს ისეთ ცნობებს, სადაც კარგათ სჩანს, რომ ყველა აჯანყება იმერეთის ერში გამოწვეული ყოფილა სულ რუსის მოხელეებისაგან, კაზაკ სალდათების და პოლიციის მოხელეთაგან.

მთავრობის მოხელენი, დაწყობილი უმაღლესის მოხელედამ უმდაბლეს პოლიციის დესიადნიკამდე ხალხს თურმე სასტიკათ ეპყრობოდენ. პირში სულს უხუთავდენ, თვით თავადის შვილებსაც კი დიდს შეურაცყოფას აყენებდენ და გლეხ კაცებს ხომ პირში სული ჰქონდათ ამოხუთული და ტყავიც გამძვრალი.

რუსის მოხელეთათვის არ არსებობდა არც სამართალი, არც სიბრალული, არც სინიდისი, არც ნამუსი, ესენი ტყავს აძრობდენ თითქმის ყველას, თავადს, აზნაურს, სამღვდელოებას და ნამეტურ გლეხებს; ართმევდენ ქრთამებს, სტაცებდენ ყველაფერს ძალით და მასთან სცემდენ კიდეც უსამართლოთ და უსვინდისოთ.

რუსის მოხელეები რომ ასე ულმერთოთ ექცეოდენ ხალხს, ეს რუსის უმაღლეს მთავრობამაც იცოდა, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდა. ასე სწორედ ესეთი უსამართლობა იყო ხოლმე მიზეზებათ, სადაც კი აჯანყება დაიწყებოდა.

ამიტომაც მოხდა, რომ ცენზორებმა ეს წიგნი კინაღამ წამართვეს. დღეს ეს ხელთნაწერი წიგნი ინახება ქართულს ნაციონალურს მუზეუმში ექვ. თაყაიშვილთან. ვისაც სურვილი აქვს ამ ისტორიული პიროვნების და გარემოების გაცნობის, იმათ ეს ხელნაწერი დიდათ გამოადგებათ მასალათ.

ზ. ჭ.

## განცხადებანი

მიკირტიჩ მარტიროზის ძე ვუფუნიკიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი მიღებული ტფილისში სომეხთა საკონსულოდან სექტემბერში 1919 წ. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 154 3—2

იუსტინე დიმიტრის ძე უგულავა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, სალდათობის მოწმობა სურათით, მეუღლის სურათი და საფულე 700 მან. მისამართი: ტფილისი ან დრეევის ქუჩის და ფოთის ქუჩის კუთხე № 4. კირილე ცაგარეიშვილის სახლი უგულავას. ვინცობაა არ ინახოს საბუთები გაუქმებულათ ჩაითვალოს.
126. 3—2

ისაკ იოსების ძე შაუმოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა იარაღის ტარების მოწმობა მიღებული ტფილისის მილიციის უფროსისგან, ხელშეკრულება, და საფულე 110 მან. მპოვნელს სთხოვს ფული დაიტოვოს და საბუთები მოუტანოს შემდეგი მისამართით: მერვე უბანი რკინის გზის ლიანდაგის გარეთ, საკუთარი სახლი ის. შაუმოვს. 141 3—2

დაკარგულია: 1. პასპორტი ივანე ადამის ძე რაციბორსკის სახელზე, მიღებული პოლონეთის წარმომადგენლიდან კავკასიაში, № 789/1763 1919 წ. ივნისის 27 ს; 2) პირადობის მოწმობა კავკას. ჯარ. სამხედრ. მიმოსვ. განყოფილების უფროსის ინჟ. ადამ თეოფილეს ძე რაციბორსკის სახელზე, № 11874, მიღებული კავკასიის ლაშქრის სამხედრო მიმოსვლის უფროსისგან. საბუთები გაუქმებულათ ითვლება. 149 3—3

დაკარგულია ხელწერილი სახელმწიფო ბანკის ტფილისის კანტორისა № 47424 ტფილისის საარტილერიო საწყობის მიერ 5%. ბილეთის მიბარების შესახებ. ხელწერილი გაუქმებულათ ითვლება. 248 3—1

კავკასიის სინოდალური კონტორა ამით აცხადებს, რომ 1919 წ. დეკემბრის 8-ს იქ შეიტანა თხოვნა ნატალია ალექსის ასულმა კომოვამ მის ქმართან ვასილ კონსტანტინეს ძე კომოვთან განქორწინების შესახებ. აღნიშნული კომოვი მიწვეულია სინოდალურ კონტორაში დასარიგებლათ. თუ ის არ გამოცხადდა 1 თვის განმავლობაში, დღიდან განცხადების დაბეჭდვისა, საქმის წარმოება გაგრძელდება. 134 1—1

ივანე მირადის ძე ბელოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი, მიღებული ტფილისის ქალაქის მილიციიდან. პასპორტი გაუქმებულათ ითვლება.
151 3—1

ალექსი დავითის ძე ოხანაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ტფილისის სადგურის სამმართველოდან აღებული შეშის მოთხოვნილება („ტრებოვანიე") № 1011 და მოწმობა მიღებული „ნასილშჩიკების" არტელიდან № 60. საბუთები გაუქმებულათ ჩაითვალოს.
138. 3—1

აბაშის გვარდიის შტაბი ამით აცხადებს, რომ მის მიერ 1 დეკემბრამდის 1919 წლის გაცემული ყველა მოწმობები გარდა იმისთვისა, სადაც აღნიშნულია ერთი ან ორი თვიანი შვებულება, გაუქმებულია. 113 3—3

იოსებ გიორგის ძე ტოკმაჯევი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული ტფილისის მილიციის უფროსის სამმართველოდან № 18635. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 150 3—2

გრიგოლ კონსტანტინეს ძე ტაბაღუა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა, ახალ სენაკის სადგურზე 2,750 მან. და ს. ქვალონის ერობიდან აღებული სამგზავრო მოწმობა № 75, პარტიული წიგნაკი № 45 და სხვადასხვა საბუთები და ანგარიშები. მოწმობა და საბუთები გაუქმებულათ ჩაითვალოს. 147 3—2

პეტრე დავითის ძე მაჩაიძე აცხადებს რომ მან დაჰკარგა ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის კანცელარიიდან მოცემული ატესტატი, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს.
152 3—3

ალექსანდრე გიორგის ძე დანელია აცხადებს, რომ მან დაჰკარგა 12,000 მანეთის ხელწერილი ჩამორთმეული გიორგი შიოს ძე ალიბარაშვილისგან. ხელწერილი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 145 3—3

ბარნაბ კიმოთეს ძე ლეჟავა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული დიდჯიხაიშის კომისარიატიდან № 65. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 137 3—3

სენაკის მაზრის სოფ. ბეთლემის მცხოვრები ვასილ ვატის ძე გვაძაბია აცხადებს, რომ მან დაჰკარგა შემდეგი საბუთები: 1) პირადობის მოწმობა მიღებული ნოქალაქევის საზოგადოებიდან № 94. 2). სამხედრო ბეგარიდან განთავისუფლების მოწმობა მიღებული ქ. სოხუმის I ქვეითა ათასეულის უფროსისგან 21/X 1919 წ. 3) კვიტანცია მიღებული იაკოფ გვაძაბიასგან 4500 მანეთის და 4) კვიტანცია მიცემული თედორე ქებურიასგან 1447 მანეთის.

აღნიშნული საბუთები გაუქმებულათ ჩაითვალოს. 140 3—2

რადგან გზათა უფროსმა არ დაამტკიცა 1919 წ. დეკ. 13-ის კონკურენცია, გზათა სამმართველო ნიშნავს ხელმეორე კონკურენციას 1920 წ. თებერვლის 3-ს სადგ. ზესტაფონში ბუფეტის ცივი საჭმელებით და მაგარ სასმელებით ერთი წლით იჯარით გაცემით შესახებ. განცხადების შემოტანა შეიძლება პირადათ ან ფოსტით. განცხადებასთან ერთად უნდა შემოტანილ იქნეს კვიტანცია საწინდრისა (1000 მან.) საწინდარი უნდა შეტანილ იქნეს სამმართველოს მთავარ კასაში. თუ წინადადება მიღებული არ იქნა, საწინდარი უკან იქნება დაბრუნებული. დაწვრილებით ცნობების მიღება შეიძლება ექსპლოატაციის განყოფილებაში 10—საათამდე. 111 2—2

# გზათა დეპარტამენტი

ამით აცხადებს, რომ თანახმად მთავრობის წ. წ. 18 დეკემბრის დადგენილებისა განზრახულია ტყიბულის ქვა-ნახშირის გასაღება გადაეცეს სააგენტოს, რომელსაც ქვა-ნახშირი დაეთმობა კერძო პირებზე გასაყიდათ დაწესებულ ფასებზე განსაზღვრული %%-ის დაკლებით. სააგენტო ვალდებული იქნება წელიწადში განსაზღვრული minimum-ი ქვა ნახშირისა გაიტანოს მაღაროებიდან გასაყიდათ და გაჰყიდოს მხოლოდ გზათა დეპარტამენტის მიერ ნებადართულ ფასებში, ხელშეკრულების უზრუნველსაყოფათ სააგენტო ვალდებული იქნება წარადგინოს ხაზინაში განსაკუთრებული თანხა, რომელიც ხელშეკრულების ვადის გასვლამდე რჩება ხაზინაში. დაწვრილებითი ცნობები და ხელშეკრულების პროექტის გაცნობა შეიძლება გზათა დეპარტამენტის კანცელარიაში კვირა უქმე დღეებში 11—12 ს, საქმის დღეებში კი ნაშუადღევის 2—3 საათამდე.

იმ პირთ, რომელთაც სურთ საჯარო შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღება უნდა შეიტანონ სახაზინო რკინის გზების მთავარ კასაში 50000 მანეთი და ამის შესახებ კვიტანციასთან ერთად დახურულ კონვერტში ჩადებულ ბარათით წარმოადგინოს თავისი პირობანი გზათა დეპარტამენტის კანცელარიაში ამა წლის 15 თებერვლამდე, რომელ დღესაც მოხდება შეჯიბრება. შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად შეტანილი 50000 მანეთი უკანვე დაუბრუნდება შეჯიბრებაში დამარცხებულთ, ხოლო გამარჯვებულს ჩაეთვლება ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად ხაზინაში წარსადგენ ბეში.

5—2 გზათა დეპარტამენტი.

# სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის

## ავტო-ტეხნიკურ განყოფილების მიერ

**1920 წ. 1 თებერვალს დღის 11 საათზე**

# დანიშნულია საჯარო ვაჭრობა

შემდეგი ავტომობილების გასაყიდათ: 1) ლაურინ-კლემენტ 8 ძალ., შეფასებულია—10.000 მან., 2) ოპელ 6 ძალ., შეფასებულია—20.000 მ., 3) სტევერ 6 ძალ., შეფასებულია 30.000 მან.,4). ბენც 8 ძალ., შეფასებულია 12.000 მან., 5) ბენც 20 ძალ., შეფასებულია 50.000 მ., 6) ნ. ა. გ. 18 ძ., შეფასებულია 20 000 მ., 7) ნ. ა. გ. 6 ძ., შეფასებულია 12.000 მ., 8) ფორდ 22 ძალ., შეფასებულია 5.000 მან., 9) რუსულ ბალტიური 16 ძ., შეფასებულია 20 ათას მან. და 10) პეჟო 16 ძალ., შეფასებულია 30.000 მან. მისამართი: ელისაბედის ქუჩა, № 119.
8 6—6